



ბრძანება:ბ14.142416917

თარიღი:17/06/2024

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების დამტკიცების წესების შესახებ“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 აპრილის №გ-15.152311812 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის სავაჭრო სარეალიზაციო დახლების განსათავსებლად 5 თვით - 2024 წლის 05 ივლისიდან 05 დეკემბრამდე.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ-ს 5 თვის საიჯარო ქირა (05 ივლისიდან 05 დეკემბრამდე) განისაზღვროს 100 (ასი) ლარის ოდენობით (1 კვ.მ-ს წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 240.00 ლარს).

3. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ის და დანართი 2-ის თანახმად.

4. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით

5. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

